





მაგდა კალანდაძე  
მეორე ოთახი

მაგდა კალანდაძე  
მეორე ოთხსი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-703-9

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

იმ წელს, როცა ლენა ჩემს ბინაში საცხოვრებლად გადმოვიდა, ზამთარზე ადრე აცივდა. ასეთი სიცივე დიდი ხანია არ გვახსოვდა ქალაქში – გვიან შემოდგომასაც არ დაელოდა, სექტემბრის ბოლოდან დაკრა ფეხი და მოყინა. არა, მთლად მინუსამდე არ დაცემულა ტემპერატურა, მაგრამ ბევრიც აღარაფერი უკლდა და, ასე იყო თუ ისე, გათბობის ჩართვამ ოქტომბრის დასაწყისში მომიწია. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ სახლიდან ვმუშაობდი, სახლშივე ვატარებდი დროის დანარჩენ ნაწილს და მეგონა, გათბობის ხარჯს ბენზინზე, კაფეებზე, საგარეო ტანსაცმელზე დაზოგილი ფული ანაზღაურებდა, მაგრამ პირველივე თვის ქვითარი რომ მოვიდა, მივხვდი, შინიდან გასვლის ხარჯებზე ჩემი წარმოდგენა გაცილებით მსუბუქი იყო, ვიდრე ცენტრალური გათბობა გადასახადს წერდა სამოთახიანი ბინის ყინვისგან დაცვაში. აქა-იქ შეკონინებული ჰონორარები თვიდან თვემდე სიგარეტზე ძლივსლა მყოფნიდა და ნელ-ნელა მოვუმატე სათარგმნი გვერდების რაოდენობას, დასარედაქტირებელი ტექსტების მოცულობას. იმასაც ვფიქრობდი, მოსწავლეებიც ხომ არ ამეყვანა-მეთქი, რომ ამ დროს ლენა გამოჩნდა.

ნინა ღამით გადაუღებლად იწვიმა. დილით ქარიც ამოვარდა და წვიმას სარკმლებიდან ასხამდა. ფანჯრის გაღება შეუძლებელი იყო, ჩარაზულ ოთახში ვენეოდი და თავზემთ კვამლი მეტი იდგა, ვიდრე გარეთ – ნისლი. შუადღისკენ ისე ჩამობნელდა, რომ დროისა და სივრცის აღქმა გაჭირდა და სანამ ტელეფონს არ შევხედე, ვერ

მივხვდი, რომელი საათი იყო ან რამდენ ხანს ვეჯექი სამუშაოს. ბოლოს ფარდები გადავნიე და შუქი ავანთე. შუშებს დარეტიანებული, გზაბნეული ჩიტებივით ეხეთქებოდა წვიმის ნიაღვრები.

ტელეფონმა პირველი საათისკენ დარეკა – ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან განუხებთ, თქვენი ჰონორარია მოსული და შეგიძლიათ, მოაკითხოთო. გამახსენდა, რომ ორი თვის წინ გრამატიკული მახასიათებლების სორტირებასა და მორფოლოგიური ანალიზატორების ინტეგრირებას მოვრჩი ვებგვერდისთვის. რახან სამუშაო დიდი არაფერი იყო და დახმარებაც მე თვითონ შევთავაზე კორპუსის დამფინანსებელი ფონდის ხელმძღვანელს, ჰონორარსაც არ ველოდებოდი. გონს რომ მოვეგე, იმავე ნომერზე დავრეკე, ბოდიში, ისევ მე განუხებთ, საბანკო რეკვიზიტები რომ მოგწეროთ და თანხა გადმომირიცხოთ, შესაძლებელია-მეთქი? ვნუხვართ, მაგრამ მოსვლა მოგიწევთ, ბუღალტერი დეკრეტულ შევბუღებაშია და რახან მაინც ახალი წლებია, ჰონორარის დაყოვნებას ვარჩიეთ, ხელზე გადმოგვეცა; თუ მოსვლას ვერ მოახერხებთ, იანვრის ბოლოს შევძლებთ გადმორიცხვას, მაგ დროისთვის სტაჟიორი გვეყოლება უკვეო. არა არა, ერთ საათში მოვალ-მეთქი, სხაპასხუპით მივყარე და კინალამ სულმა წამძლია, ისიც მეკითხა, რამდენი იყო ჩემი ჰონორარი. რაც უნდა ყოფილიყო, სულს მომათქმევიანებდა და თვის ბოლომდე თავს გამატანიებდა. სანამ გახუნებულ ფეხსაცმელებს თასმებს ვუყრიდი, ვიფიქრე, იმ გოგოს ხომ არ დავურეკო და დრო სადამოსკენ გადავუწიო, ვაითუ სამამდე მობრუნება ვერ მოვასწრო-მეთქი, მაგრამ ფანჯარას რომ მივუახლოვდი და ასფალტზე წყლის ტალახიან ნაკადებს გავხედე, მივხვდი, დარეკვას მერჩივნა, ცოტათი ავჩქარებულებიყავი. თანაც, მეთქი, ისეთი რა საცობი იქნება ახლა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრამდე, რომ სამამდე ვერ მივიდე და მოვიდე. ბათინკები სქელ წინდებზე ამოვიცვი, შარვლის დასვრილი ტოტები ფეხსაცმლის ყელში ჩავიტენე და აქა-იქ სიგარეტმიმწვარი ქურთუკი საგულდაგულოდ დავფერთხე – სხვა მაინც აღარაფერი მერგებოდა და თბილიც იყო, დრეზდენში ვიყიდე სტუდენტობისას.

ჰონორარი ნაცრისფერი შენობის გრძელი დერეფნის ბოლოს, დენის გამათბობლის სიმბურვალისგან გამომშრალ ოთახში მომანოდა ბეჭებში მოხრილმა, წელშეხვეულმა გოგომ. თხელი კონვერტი იყო, ჩემი სახელისა და გვარის გასწვრივ ეწერა: 150 ლ.

უკანა გზაზე ისე დასცხო, შუშის სანმენდი წყლის ჭავლს ველარ მოერია და ცოტა ხნით მანქანა გავაჩერე, ავარიული ციმციმა ჩავრთე. ველოდებოდი, როდის გადაიღებდა. ტელეფონს დავხედე – ვასწრებდი, ორი აღმართილა მქონდა დარჩენილი ჩემს კორპუსამდე. სადარბაზოსთან მანქანის გასაჩერებელი ადგილი არ დამხვდა. შენობას წრე დავარტყი და მოშორებით, უბნის მაღაზიასთან ძლივს ვიპოვე ბორდიურზე ასასვლელი. ბარემ სიგარეტს ვიყიდი-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მანქანიდან ფეხი გადმოვდგი თუ არა, ქარმა და წვიმამ ისე შემომიტია, ეგრევე სახლისკენ გავწიე ჩქარი ნაბიჯით. მოკლეზე მოვჭრი-მეთქი და სკვერში უზარმაზარ ტბორში გავტოპე. ვერ დავინახე.

სადარბაზოში რომ შევედი, უკვე ერთიანად გალუმპული და ტალახში ამოგანგლული ვიყავი. ლიფტის ლილაკს თითი მივაჭირე და სანამ სული მოვითქვი, თმა გავიწურე, ჩანთა დავფერთხე, ტელეფონმაც დარეკა. ლენა ვარო, უკვე მოვედი და გელოდები კართანო. ლიფტში დრო შევამოწმე -კარგა ოცი წუთით ადრე იყო მოსული. კართან არავინ დამხვდა. სართული შეშლოდა და კიბის ქვედა ტაფაზე იდგა, უზარმაზარი ჩანთით ზურგზე და სუპერმარკეტის ერთჯერადი პარკით ხელში. აქ ვარ, ლენა-მეთქი, დავუძახე ზემოდან და ზურგჩანთა უხმოდ დაიძრა კიბეზე. შემოსასვლელშივე დავყარე ქურთუკი, ჩანთა და ფეხსაცმელები, ლენა დიდხანს იწმენდდა რეზინის ფეხსაწმენდზე ტალახიან ბათინკებს, მერე, როგორც იქნა, ზღურბლს გადმოაბიჯა და უხერხულად გაშემდა, თითქოს ჩემს მითითებებს ელოდა. გაიხადე და ეგ ტალახიც დაიკიდე-მეთქი, გავძახე უკვე ოთახიდან.

ბინის სანახავად რომ მოვიდა, სულ სხვანაირად გამოიყურებოდა – თმის გრძელი ტალღები ლურჯ, წელში გამოყვანილ პალტოზე ეფინა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა, ახლა კი დაუბა-

ნელი თმა მალლა აექაჩა და ცხენის კუდად შეეკრა. თმაზე დაგროვილ ცხიმს წვიმის წვეთები აესხლიტა და წყლიდან ახალამოსული იხვივით უელავდა შუბლი. ჩემზე ბევრად დაბალი იყო. შავ, წყალგაუმტარ, გაბერილ ქურთუკში კიდევ უფრო გამხდარი ჩანდა. გაძვალტყავებულ ფეხებზე ჯინსის სველი შარვალი შემოწებებოდა.

უკვე ზურგჩანთის ამოლაგება ჰქონდა დანწყებული, როცა ვკითხე, კიდევ გექნება გადმოსატანი ნივთები-მეთქი? არაო. სულ ესააო, ოთახის კუთხეში მიგდებულ პარკზე მიმანიშნა და მერე ხმადაბლა ჩაიბურტყუნა, ამაში წიგნები და ფურცლები მინყვია, დასველდება გზაში და ხომ შეიძლება, მისაღებში გავშალო გასაშრობადო. რა თქმა უნდა-მეთქი. არ იქნებოდა ოთხ-ხუთ წიგნზე მეტი. ჩაი დავასხი და თან არეული სამზარეულოსთვის მოვუბოდიშე, გუშინ მთელი ღამე ვმუშაობდი, დღეს დილიდან კი საქმეებზე ვარ გავარდნილი და ამ ნაგვის გატანაც სირქარეში სულ დამავიწყდა-მეთქი. არა უშვავს, ნაგავს აწი მე გავაყოლებ ხოლმე სამსახურისკენ გზად და, ყავა მირჩევნია, თუ არ შენუხდებიო. პირსახოცით თმას იმშრალებდა და კბილებით ყავისფერი, გახუნებული თმის სამაგრი ეჭირა.

ეს ბინა რეზომ დამიტოვა. მანქანაც მისი ნაყიდი იყო და დამიტოვა რა, თავიდანვე ჩემზე გადავწყვიტეთ გაფორმება. სახლი ისევ მის სახელზე დარჩა და ხანდახან ტვინს მიჭამდნენ ჩემები, რა იცი, რა მოხდება, ჩაენერე მაგ ბინაში დროზეო, მაგრამ რა უნდა მომხდარიყო – რა ჯანდაბად უნდოდა რეზოს ეს სახლი, ან მე რატომ უნდა დავეტოვებინე ჭერის გარეშე, პირიქით, ხანდახან მერეც მეხმარებოდა ხოლმე, როცა მეორე ცოლი მოიყვანა და შარშანწინ ცენტრალური გათბობაც მაგან დამიყენა, აბა, მე სად მქონდა მაგის ფული. გაზის გამათბობლებისგან ხალხი დაიხოცა იმ წელს, რამდენიმე შემთხვევა იყო, და მოქანდა, მოყარა ხელოსნები, მოახსნევინა ის ძველი გაყვითლებული რკინის ჯაბახანა, გააყოლა პლასტმასის მილები პლინტუსებს, კედლებზე თეთრი რადიატორები მიამაგრებინა და აბაზანაშიც ჩამოხსნა წყლის გამაცხელებელი



ავზი – აწი აღარ დაგჭირდება, აქაც და სამზარეულოს ონკანშიც ცხელი წყალი გექნებაო. მაშინ კი გავიფიქრე, ავშენდი-მეთქი, მაგრამ მერე გადასახადი მოდიოდა გაზზე იმდენი, რომ თავბედი ვინყევლე. დენის გამაცხელებელი ბევრს არაფერს წერდა, ბანაობით მე ათასში ერთხელ ვბანაობდი და ჭურჭელიც დიდად არ მესვრებოდა – ჩაის ჭიქას თუ გამოვავლებდი და ერთ თეფშს გავრეცხავდი. ამ გამათბობელს კიდევ ხან ავუნევდი, ხან ჩავუნევდი, მეორე ოთახის კარი სულ გამოხურული მქონდა და ერთ პატარა მისაღებს და ჩემს საძინებელს კი ჰყოფნიდა სითბო. მიჩვეული ვიყავი – იქვე, ფანჯარასთან მქონდა მოწყობილი სანერი მაგიდა და ოთახში მარტო დასაძინებლად შევდიოდი. მერე, როცა ყველა ოთახი გათბა და სკამზე პლედის ქვეშ ფეხების შეკეცვა აღარ მიწევდა, ეს მაგიდაც ოთახში შევიტანე, საფერფლეც იქვე დავიდგი და გამოსაკრავ ზენარს მატყლის თბილი საბანიც გამოვაცალე. თუ მაინცდამაინც არ ყინავდა გარეთ, ფეხშიშველა, მოკლე მაისურით დავტანტალელებდი ოთახიდან ტუალეტამდე და ტუალეტიდან ოთახამდე. სამაგიეროდ, მთელი ჩემი ზამთრის ჰონორარები ბინის გათბობას ხმარდებოდა და დღისით მეძინა, ღამით ვმუშაობდი. სიგარეტიც, ჩემდა ჭირად, ერთბაშად გაძვირდა მაშინ, როცა რეზომ წავედიო, გამომიცხადა.

ახალი ჩამოსულები ვიყავით პრალიდან მე და ლილი. ადრე დაფრინდა თვითმფრინავი, დილის რვაზე საპასპორტო კონტროლი უკვე გავლილი გვექონდა. მანქანა აეროპორტში გვეყავდა დატოვებული და ჯერ ლილი მივიყვანე პლენხანოვზე, მერე რედაქციაში გავიარე – მეთქი, ბარემ ფოტოკამერას და შტატივს ჩავაბარებ. შუადღე იყო, სახლში რომ მივედი. რეზო სანოლში დამხვდა ლეპტოპით, პროექტის ანგარიში მაქვს ჩასაბარებელი და ბარემ მოვრჩები წერას, მერე პირდაპირ თათბირზე მივალო, თავის აუნეველად ჩაიბუტბუტა, სანამ მე ბლოკნოტებს და წიგნებს ვალაგებდი ჩემოდნიდან. უკვე შარვალს ვიხდიდი, როცა მითხრა, უნდა ვილაპარაკოთო. ლეპტოპი დახურა და, ასე დიდხანს რომ ვერ გაგრძელდება, შენც ხომ ხვდებიო, შემომხვდა. ტრუსიკითვე ჩამოვჯექი სანოლზე, ვერაფერი გავიგე-მეთქი. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებაო, გამიმეო-

რა. მე კი, თითქოს მეორედ ნათქვამი, პირველისგან განსხვავებით, გამეგოს, თავი დაუფუქნიე. ხმა არ ამომიღია. მივხვდი, რომ ჯერ არ ჰქონდა დასრულებული სათქმელი. ჯობია, ჩვენ-ჩვენს ცხოვრებას მივხედოთ და აღარც ერთმანეთი, აღარც საკუთარი თავები აღარ მოვატყუოთო. გონება გამეფანტა, ტელესერიალების ფრაზებს ვისმენდი და მე არცერთი სერიალი არ მასხენდებოდა, რომ პასუხის გაცემაში ცოტათი მაინც დამხმარებოდა. მოხდა რამე-მეთქი? მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. არაო, მშვიდად განაგრძო, უბრალოდ, დავილაღე ამ ყველაფრით და შენც აღარ მოგიწევს მალვა, მივლინებების გამოგონება, ჩემი ფულების ხარჯვა იმაში, რომ ვილაც ყლექალებთან იტყნაუროო, ამოასხა ბოლოს, თუმცა ტემბრი არ შესცვლია. მიხედე რა შენს თავს, თავიდანვე შეცდომა იყო ეს ყველაფერი და რახან ჩემი ბრალიცაა, ამიტომ ბოლომდე შენ ვერ გადანაშაულებო. რომ არ მცოდნოდა, კიდევ ხო, მაგრამ ვიცოდი და მაინც რალაცის იმედი მქონდა სულს. მე ისევ ტრუსიკით და მგზავრობისგან მაჯებგაყვითლებული ლურჯი სვიტერით ვიჯექი სანოლის კიდეზე და არ ვიცოდი, რითი შემემსუბუქებინა ჯოჯოხეთი, რომელიც ნინ მელოდა – დედაჩემის სახლში დაბრუნებით დაწყებული, სტაბილური შემოსავლისთვის ნელში განყვეტამდე მუშაობით დამთავრებული. ცრემლებიც წამომივიდა მგონი. განძრევით კი არ გავნძრეულვარ. თვითონ ადგა, კარადა გააღო. თავისი მხარე გამოცარიელებული ჰქონდა, ერთი შარვალი და მაისურილა ეკიდა. სწრაფად ჩაიცვა და ნუ ნერვიულობო, მითხრა. მე წავალო. ცოტა ხნით ბარნოვის ერთოთახიანში ვიქნები და მერე არ ვიცი, შეიძლება, ჩემებს გაუცვალო და მე ფალიაშვილზე გადავიდეო. იყავი შენ აქო. ტანსაცმლის ნაწილი გადავიტანე და ნაწილს ხვალ მოვაკითხავ, ტრუსიკები, ნასკები, კბილის ჯაგრისი და საპარსი მაქვს აქ, ახლა ვერ ვათრევ თან, სამსახურში მივდივარო. ამ თვის კომუნალურებს მე გადავიხდი თვის ბოლოს და მერე გამოგიგზავნი აბონენტის ნომრებს, შენს ანგარიშს მიაბიო. ვტიროდი. მეთქი, შენებს ეტყვი რამეს? ხომ იცი, ჩემებს დაურეკავენ ეგრევე... არა, ხომ გითხარი, ნუ ნერვიულობო. იციან უკვე ჩემებმაც, შენებმაც, მათთან ვთქვი, რომ დროებით

ვიცხოვრებთ ცალ-ცალკე და მერე შეეგუებიან თანდათან, ნახავენ, რომ არ დაქცეულა ამით ქვეყანაო. ვტიროდი. წავედი მე, ხვალ გამოვივლი და ამას წავიღებო – დიდი ჩანთა იდო კარადის ქვედა თაროზე. შუა გზიდან მობრუნდა, გასაღებების აცმა ამოიღო და სახლის გასაღები მოხსნა, ტუმბაზე დადო, ამასაც გიტოვებო. თავი არ აუნევია, არც კი შემოუხედავს. მინდოდა, გამეღიმა, კარგად-მეთქი, მეთქვა, ან რამე სხვა, მაღლობა ან წადიშენი, დარჩი ან ჯანდაბამდე გზა გქონია, ის მაინც მცოდნოდა, რა მეფიქრა, მაგრამ არც ვიცოდი და ვერც ვინძრეოდი. კარი რომ გაიხურა, ცრემლები მოვიწმინდე და ტელეფონი ჩავრთე. დედაჩემის თორმეტი გამოტოვებული ზარი დამხვდა. ლილის მივწერე, მოდი-მეთქი და რომ არ მიპასუხა, მივხვდი, ეძინა ნამგზავრს. დავურეკე. რეზომ იცის ჩვენზე, სახლიდან წავიდა-მეთქი, ისევ წამსკდა ცრემლები. კაი, დანყნარდი, მოვდივარო. ისევ გამოვრთე ტელეფონი. ლილი რომ მოვიდა, უკვე ექვსი ღერი მქონდა მონეული და ეგრევე, ღია კარში ვექვრე ტუჩებში. ძლივს მომიშორა, კაი შეჩემა, არ დავგვი-ნახოს ვინმე მეზობელმა ან ბავშვმაო.

იმ ღამით ჩემთან დარჩა ლილი. წესიერად არც გვძინებია, მის მუცელზე მედო თავი და ვსლუკუნებდი. ლილი ღრმად სუნთქავდა და კისერზე მეფერებოდა. დილისკენ ჩამეძინა, როცა უკვე მუცლის ნაცვლად ბალიში მქონდა თავქვეშ ამოდებული და შუადღისას რომ გავახილე თვალი, ლილი ჩემს სანერ მაგიდასთან იჯდა, შიშველი მუხლებით ფოტოკამერა ეჭირა, წინ ნახევრად გახსნილი ლეპტოპი ედო და სიგარეტის ღერი ჰქონდა აუნთებლად გაჩრილი პირში. აქ მოვწიო თუ სამზარეულოში გავიდეო, მკითხა. სანამ ვუპასუხებდი, სიგარეტი პირიდან გამოიღო და, შეჩემა, მართლა იცოდა რეზომო? ქვემოდან ამომხედა. ჰო-მეთქი. ძილი გავაგრძელე.

რეზო რომ გავიცანი, ოცდაოთხი წლის ვიყავი. ფრეიერის თარგმანს ვეჯახირობოდი და კვირაში ორჯერ იმ ორგანიზაციის ოფისშიც მიწევდა ხოლმე მისვლა, რომელმაც თარგმანი დამიკვე-

თა. რეზო ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე მუშაობდა. ომი ახალი დამთავრებული იყო და სასადილოს ტელევიზორთან სულ იდგა ხალხი – საინფორმაციო გამოშვებების კომენტირება და ემოციების გაცვლა-გამოცვლა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო. სასადილოში ყავის დასალევად ჩავდიოდი, პოლიტიკურ გარჩევებში არ ვერთვებოდი, თანამშრომლების დიდ ნაწილს არც ვიცნობდი და ჩუმი ველოდებოდი ხოლმე ჩემს რიგს ყავის აპარატთან – ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, როგორ უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება ლიანას ნასვლის მერე და გადარჩენის ერთადერთი გზა სამუშაოზე კონცენტრირება მეგონა. მორჩილად ვუკირკიტებდი ორ ენას შორს გამოკიდებულ ნახევრად გაუგებარ ტექსტს და მხოლოდ ის მამშვიდებდა, რომ ჰონორარს წინასწარ ხელი არ მოვკიდე – მეთქი, იქნება და გამისხას, ჩაწვე.

გადარჩენის ნამდვილი გზა მაშინ გამოჩნდა, როცა რეზომ მეორედ დამითმო თავისი რიგი ყავის აპარატთან და უკმაყოფილო თანამშრომელთან გამომესარჩლა, კაი რა, ხომ ხედავ, მთელი თვეა, არაფერს ქამს ეს გოგო და ყავა მაინც დალიოს, რა მოგივიდაო. მერე ერთად მოვნიეთ გარეთ ქალაქის ქიქებით ხელში, ტელეფონის ნომრებიც გაცვალეთ და ერთი კვირის თავზე ბარნოვის ერთოთახიანში ვიტყნაურეთ – უაზროდ ბევრი დავლიეთ, მე ვარწყიე, რეზომ დაანძრია. გადარჩენის ამ გზას შურისძიება ერქვა და ბასრ დანასავით გამჭრა მაშინ შუბლიდან კეფამდე. ვფიქრობდი, ლიანა, ჩვენი ომი ჯერ არ დამთავრებულა, ამ ომს სადღა გაექცევი-მეთქი.

იმ დღეს დილიდან ისე აჭერდა მზე, დედაჩემს ლოჯში გასაგდებად შევეცოდე და, მონიე აქ, შენმა დედამ მონია ცეცხლიო, საფერფლე მომიდგა კომპიუტერის გვერდით. მე სამი ღამის უძილო ვიყავი, შევყურებდი ცისფრად მოციმციმე მონიტორს და არ ვიცოდი, რა მექნა. ახალი ამბების სხვადასხვა ვერსიას თბილისის ფორუმზე ვკითხულობდი, იმავე ოთახში ტელევიზორი თავისას ჰყვებოდა და რაღაც მომენტში გავიგონე, ვილაც მელოტი კა-

ცი მოგვიწოდებდა, სისხლის ჩაბარება ვისაც შეგიძლიათ, თქვენს რაიონში მდებარეობს მიაკითხეთ, ფასდაუდებელ სიკეთეს იზამთ, ბანკი დაცარიელების პირასააო. მერე ჟურნალისტმაც ომახიანად გაიმეორა იგივე და წამოვხტი, მეთქი, დედა, გავიქეცი მე, სისხლი უნდა ჩავაბარო.

პავლოვზე ტაქსით გავედი. სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ფოიეში რიგი იდგა, კედელზე ჩამოკიდებულ ტელევიზორს მისჩერებოდა ყველა და აქა-იქ ბრაზის, სასონარკვეთის, ტკივილის შორისდებულები ისმოდა – ჩვენ თვალწინ ნაცარსა და მტვერში ეხვეოდა სოფლები, ქალაქი, შენობები, ადამიანები. ჩემი რიგი მალე მოვიდა – ორ-ორი შეჰყავდათ. ჩემთან ერთად ჩემ უკან მდგომი კაცი შემოვიდა. ჩემსიმაღლე იქნებოდა, ჩემზე ოდნავ განიერი. პატარა ოთახში ორი მაგიდა იდგა და ორივესთან თეთრხალათიანები ისხდნენ. სხაპასხუპით მოგვაყარეს, ბოლო ექვსი თვის მანძილზე ოპერაცია, ინფექცია, ტატუ, ინტრავენური ნარკოტიკი, სტომატოლოგი, პედიკიური, მანიკიური – ამეებთან შეხება თუ გქონიათ, წნევის გაზომვაზე დროს ნულარ დაგვაკარგვინებთო. უარის ნიშნად თავს ვაქნევდით მეც და ის კაციც.

წნევა დაბალი აღმომაჩნდა. მეორედაც გამიზომე-მეთქი, ვთხოვე თეთრხალათიანს. ის კაცი უკვე რაღაც საბუთებს ავსებდა. უხმოდ გამიზომა და რა ვქნა, გოგონა, ოთხმოცდაათი გაქვს სამოცზე, არც თვალი მატყუებს და არც ყური, გადაიწიე გასასვლელისკენ, ხალხია რიგშიო. მეორე თეთრხალათიანი ამ დროს უკვე კარში იდგა და შემდეგო, იძახდა.

პავლოვს ფეხით გამოვუყევი. ჯერ ადრე იყო, მზეს ბოლომდე არ მიებჯინა თავი ქერისთვის და მარჯვენა მხარეს ჩრდილი მოეკიდებინა ქუჩას. არ ვიცი, იმის ცოდნამ, რომ წნევა მქონდა დაბალი, დილის უჭმელობამ თუ ჰაერზე გამოსვლამ თავბრუ დამახვია. საათს დავხედე და სანამ ბახტრიონზე ჩავიდოდი, კი გაიღვიძებდა ლიანა. შოკოლადიო, ამომძახა მეხსიერებამ – რომელიღაც ძველ მოთხრობაში მქონდა ნაკითხული, სისხლს როცა გიღებენ, ბევრი შოკოლადი უნდა ჭამო, რომ არ წაიქეცე მერე. პირველსავე უსახე-

ლო მალაზიაში შევედი და იქვე, სალაროსთან რომ შავი შოკოლადი იდო, ის ავიღე. მალაზიაში კონდიციონერი არ იყო ჩართული და შოკოლადი გახსნისთანავე ხელებში ჩამაძნა. მანამდეც ბევრჯერ იქნებოდა გადამდნარი. დასვრილი თითები საგულდაგულოდ გავილოკე, რაც დარჩა, შარვალს და ჩანთას შევანმინდე. ლიფტისთვის ხურდა არ მქონდა და ფეხით ავასკდი მეექვსე სართულს. ლიანამ კარი გამიღო და სახე მოელრიცა – რას გავხარ, შედი, პირი მოიბანეო. სარკეში რომ ჩავიხედე, გული შემიღონდა – ნიკაპი ყავისფრად მქონდა მოთხვრილი.

ავვისტოში ლიანა მოსწავლეებს ასვენებდა და თვითონაც ისვენებდა. გაკვეთილები სექტემბრის შუა რიცხვებიდან იწყებოდა და ბავშვები ივლისის ბოლომდე ჯოჯოხეთურ მარათონში იყვნენ ჩართული – კვირაში ოთხი დღე სამ-სამ საათს ისხდნენ გრძელი მაგიდის გარშემო და წერდნენ ტესტებს, იზეპირებდნენ სიტყვებს, გრამატიკის წესებს, კითხულობდნენ ადაპტირებულ ტექსტებს და თარგმნიდნენ ხან ქართულიდან გერმანულად, ხანაც – პირიქით. მიზანი უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის უმაღლეს ქულაზე ჩაბარება იყო და ლიანასაც თბილისში ყველაზე მაგარი რეპეტიტორის სახელი ჰქონდა – მის მოსწავლეებს საგამოცდო კომისიის თავმჯომარე კაბინეტში იბარებს და პირადად უხდის მადლობასო, ხმები დადიოდა ქალაქში. ჩემთვის მადლობა არავის გადაუხდია, თუმცა 99 ქულა ავიღე და დედაჩემი იქაჩებოდა, დამიჩაგრეს ბავშვი, რაში დააკლეს ის ერთი ქულა, უპატრონო რომ იყო, ალბათ, იმაშიო. იმ წელს ლიანას ჯგუფში რომ მოვხვედრილიყავი, საქმეში დედაჩემის მთელი სადაქალო იყო ჩარეული. ბოლოს ლიანას კარის მეზობელმა, იზომ იმარჯვა, რომელიც დედაჩემის დირექტორის ლოგინად ჩავარდნილ ბებიას უვლიდა და რომელსაც ლიანა კატას და სახლს უტოვებდა ხოლმე, როცა დიდი ხნით მიდიოდა სადმე. ერთი სიტყვით, ვალში იყვნენ იზოსთან აქედანაც და იქიდანაც, ასე რომ, აბიტურიენტობის პირველსავე წელს ლიანას გვერდით, საპატიო ადგილზე აღმოვჩნდი და რახან მაგიდაზე სხვა მოსწავლეების იდაყვები ეწყო ხოლმე, რვეული მუხლებზე მედო, თავი კი – ლამის

ლიანას მხარზე. ჯგუფს მოსწავლეები ემატებოდა და ემატებოდა, ჩემსა და ლიანას შორის დისტანცია კი მცირდებოდა და მცირდებოდა. წლის ბოლოს მაგიდის გარშემო ხის ვიწრო ძელსკამზე ოცამდე აბიტურიენტი ვისხედით. დედაჩემი ყოველი თვის დასაწყისში მოდიოდა, კონვერტით ჰონორარს უტოვებდა და დანვრილებით გამოჰკითხავდა მართო ჩემსას კი არა, თავისი დაქალების შვილების ამბებსაც. თავის მხრივ, ლიანაც ინტერესდებოდა, სხვა საგნებში როგორ მიგვდიოდა საქმე – მართო მე კი არა, მისი დაქალების შვილებსაც. ჭორაობდნენ, მოკლედ. მეც იქვე ვიდექი. შიგადაშიგ გადმოხედავდნენ ხოლმე და მესამე პირში ლაპარაკს აგრძელებდნენ: ელენემ უნდა მოინდომოს, ელენეს მეტი მოეთხოვება, ელენეს გონების პატრონმა ვერ მოვასწარი და ვერ შევძელი არ უნდა გამაგონოს. ბოლოს დედა უღრმესი მადლობებით გვტოვებდა, ჩვენ კი ვუბრუნდებოდით ჩვეულ რუტინას, სადაც მე ლიანას საუკეთესო მოსწავლე ვიყავი, ლიანა – ჩემი გერმანულის მასწავლებელი.

მართალია, მას მერე ხუთი წელი გავიდა, მაგრამ ლიანას ჯერ კიდევ ჩემი მასწავლებელი ეგონა თავი და იმ დღესაც, უკვე პირდაბანილს, შენიშვნები მომყარა – თმა შესაღები გაქვსო, ეგ შარვალი ერთი კვირაა, რაც გაცვია, გასარეცხიაო, მაირინკის მესამე თავი საერთოდ ვერ გაგიგია, თარგმანის ნახევარზე მეტი დედანს არის აცდენილიო. თან რალაცას ალაგებდა, ტანსაცმელს კეცავდა და ერთმანეთზე აწყობდა. წიგნების ნაწილი მაგიდაზე გადმოელაგებინა. ბებერი კატაც, სხვა დროს სავარძელში რომ იყო ჩამრგვალებული, ახლა აწრიალებული მომეჩვენა, ზურგამოხნიეკილი ეკვროდა სკამის ფეხებს. ვოვამ ბილეთი მიშოვა და ხუთშაბათს დილით მივფრინავო. თან უჯრაში იქექებოდა. აეროპორტშიც დამხვდებიან და მოკლედ, იქ უფრო მშვიდად ვიქნები, ეს ჩემი ძმაც მშვიდად იქნება, მირეკავს ყოველდღე, მეც ვხვდები, რომ აქ გაჩერება უკვე აღარ შეიძლებაო. წამო, მოვნიოთ-მეთქი, შევთავაზე და აივანზე გავედი. მეგონა, რომ არავითარი ხუთშაბათი არ მოვიდოდა, ამ გაგანია ომის დროს ქართული პასპორტით მოსკოვში ლიანას არავინ შეუშვებდა და ბოღვა იყო ეს სამზადისიც, შიშიც; შუადღის მზისგან გავარვარებულ აი-

ვანზე სიგარეტის კვამლს გაჰყვებოდა მთელი ეს შფოთვა, ოთახში დაბრუნებულს თმაში შევეუყოფდი თითებს, ნიკაპის ქვეშ ვაკოცებდი და დაემშვიდდებოდით ორივე, მაგრამ ლიანა არ მშვიდდებოდა და დაწვრილებით მიყვებოდა, ვის დაარეკინა ვოვამ აეროფლოტში, ვინ ჩაერია საკონსულოდან, ვინ დახვდებოდა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. მერე კატას გახედა, იზო ძლივს დავითანხმე ამის დატოვებაზე, ვნერვიულობ ძალიანო. ცრემლები წასკდა. ყველაფერი ნაფიქრი იყო, ყველა ნაბიჯი – გაზომილი, სამოქმედო გეგმა – დასახული, ოღონდ მთელ ამ რუკაზე მე არსად ვჩანდი. ჩემი არსებობა თუ სამომავლო არარსებობა ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა ლიანას გეგმებზე. ხომ იცი, წერილებს ველოდები შენგან და თარგმანის დამთავრებას ნუ გააჭიანურებო, გავახსენდი სადღაც კატასა და შეაკეთებელ სანტექნიკაზე დარდს შორის.

იმ საზარელი ხუთშაბათიდან ორი თვეც არ იქნებოდა გასული, როცა რეზომ ერთად ცხოვრება შემომთავაზა. ცოტა ხანს ბარნოვზე ვიყოთ, სანამ საბურთალოს სამოთახიანი გარემონტდება და მერე პატარა ქორწილიც გადავიხადოთ ტკბილი სუფრით და ნათესავებითო. დედაჩემი ბედნიერი იყო ლამაზი და ჭკვიანი სიძით, რეზოს მშობლებსაც გაუხარდათ ოთხ უცხო ენაზე მოლაპარაკე ახალგაზრდა რძალი, მე კი პირველი მეილი მივწერე ლიანას: „ეთხოვდები“. არ უპასუხია.

მეგონა, თავზარი დაეცემოდა, პირველივე რეისით უკან გამოფრინდებოდა, მუხლებში ჩამივარდებოდა და მთხოვდა, დამიბრუნდი, აღარასოდეს მიგატოვებ, უშენოდ არ შემიძლიაო, მაგრამ დრო გადიოდა და ლიანა არათუ არ ბრუნდებოდა, წერილებიც კი არ მპასუხობდა. მე კი მაინც ველოდებოდი.

ამასობაში რეზომ დაწვრილებით იცოდა ჩვენი ამბავი – მონავლე-მასწავლებლის დამალული, რისკიანი, მღელვარე ხუთწლიანი სიყვარულის სევდიანი დასასრული გადასარევი გზა იყო მასთან დასაახლოებლად და მისი ნდობის მოსაპოვებლად. თვითონ



ფიქრობდა, რომ ჩვენი ურთიერთობა ლიანას ძლიერი ზეგავლენის გამოძახილი იყო და რაღაც ბრტყელი ფრაზებით ცდილობდა ახსნას: „ფსიქოლოგიური ზენოლა“, „მანიპულაცია“, „პროექცია“ – ერთი სიტყვით, გაივლის, გარდატეხის ასაკში მეც მიყვარდა ჩემი ფიზიკის მასწავლებელი, პროსტა თავს არ ვუტყდებოდი და ნუ თან თქვენთან, ქალებთან, ყველაფერი უფრო იოლია ისედაცო. ალბათ მართლაც იოლი იყო – ჩემს კურსელებს რომ მანქანის უკანა სავარძლებზე ზასაობისგან და სკვერების ძელსკამებზე ძუძუებში ხელების ფათურისგან ნერვები ჰქონდათ დაწყვეტილი, მე სალამობით წრიულ ავტობუსს მივყვებოდი ხოლმე საბურთალოზე, მეექვსე სართულის თეთრ კარზე ზარს ვრეკავდი და მთელი ღამე ვუყურებდით ფილმებს, ვსვამდით კარამელის ჩაის, ვტყნაურობდით მაშინაც კი, როცა გვეძინა – თუ შემთხვევით საბანქვეშ ერთმანეთზე ხელი ან ფეხი მოგვიხვდებოდა, თავიდან ვიგზნებოდით და ასე, დაუსრულებლად. დედაჩემიც მშვიდად იყო, რომ სხვებივით ვილაც უსაქმურ ბიჭებთან არ დავწანალებდი. ლიანასთან ღამით დარჩენებზე ცოტას კი ეჭვიანობდა – დედაშენთან ყოფნა სულ აღარ გინდაო, მომადახებდა ხოლმე კარში, მაგრამ მეგობრებთან დიდის ამბით მოჰქონდა თავი – ჩემს გოგოს სტუდენტობა თავში არ ავარდნია და იმის მაგიერ, რომ ვილაც ლანჩაკებთან დადიოდეს, სადარბაზოებში კოცნაობდეს და პაპიროსს ეწეოდეს, აგერ, თავის მასწავლებელთან ერთად წიგნს თარგმნის, თავისუფალი დრო როცა აქვსო.

მონევა მართლა მერე დავინყე, მესამე კურსზე, კი.

ჩემი და რეზოს განქორწინებამ დედაჩემს ხელი ჩააქნევინა ჩემზე და ჩემს ბედნიერ მომავალზე, სადაც, მისი გათვლით, დაზრდილი შვილიშვილები დარბოდნენ, მე კი მაღალანაზლაურებადი სამსახური მქონდა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში ან საელჩოში. თავიდან ტიროდა, თავში ხელს იცემდა, საათობით ეკიდა ტელეფონზე რეზოს მშობლებთან, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავსო, მაგრამ ერთი წლის თავზე ბედს შეეგუა, ნელ-ნელა შეიკეტა და კვირაში ერთხელ თუ შემეხმიანებოდა, ისიც ცივად,

უხეშად, უხალისოდ. თანდათან, მოგიკვდეს დედაშენიო, გოდება-საც მორჩა და ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

ოთახის გაქირავება აზრად არ მომივიდოდა, ზამთრის იმ ლამეს ლილის რომ არ დაერეკა. გოგო, მისმინე, მეორე საძინებელში საწოლი ხო ისევ დგასო. კი-მეთქი. ორ წელზე მეტი იქნება, იმ ოთახში არ შეესულვარ. რა იყო. ერთი კაი გოგოა, ჩვენინი, აი, შარშან სარვამარტოდ კამპანიის ვიდეოები რომ გადავიღეთ, იმ ორგანიზაციაში მუშაობს. ხოდა ჩეპე მოუვიდა, სასწრაფოდ ეძებს ბინას, მარტო ვერ გაქაჩავს ქირას და ასე უცებ ვის იპოვის ახლა ამ ნახალწლევს, ვისაც ბინის გამოცვლა უნდა, გარეთ რჩება, და რო მიაქირავო ეგ ოთახი, არ გინდაო? მეთქი, აუ რავი... რა რავი შეჩემა, შენც სულს მოითქვამ, მოსწავლეების ძებნას და ორმოცდაათ-ორმოცდაათი ლარის აკრეფას არ გირჩეენია ყოველთვე მოჭრილი ფულიო? მეთქი, უნდა დავფიქრდე, ვინ არის, არც ვიცი... მოიცა, ფეისბუქის ლინკს ჩაგიგდებ ახლავე და გეცოდინებაო. ახლოს არც მე ვიცნობ, მარა კაი გოგოა, სულ ჩვენს წრეში ტრიალებს და ყველას ძან უყვარსო. შენი და ჩემი წრე ერთი და იგივე არ არის-მეთქი, ლილი, გავიფიქრე, მაგრამ თქმით არაფერი მითქვამს.

კაი, მოვიფიქრებ, მაცადე-მეთქი.

ლამით ცუდად მეძინა. ორჯერ ავდექი და ორ-ორი ღერი ერთმანეთის მიყოლებით მოვნიე, თან ლენას ფეისბუქის პროფილს ვათვალიერებდი. აჭრელებული ჰქონდა იქაურობა სარვამარტო პლაკატებით, ცისარტყელას დროშებით, ქუჩის აქციებით, პოლიტიკოსების ციტატებით, იმ თავისი ორგანიზაციის აქტივობებით. აქა-იქ ბავშვების და კატების ფოტოებიც გამოერეოდა. თვითონ იქნებოდა ასე 23-24 წლის. დაბადების წელი არ ენერა, მაგრამ სტუდენტიც აშკარად აღარ ეთქმოდა. მეორე დღეს ლილი მოვიდა და მომიყვა, ამ გოგოს მშობლებს რაიონში აქვთ სახლი, ეს დეიდასთან ცხოვრობდა, მაგრამ ახალ წლებზე დეიდაშვილი ქმარს დაშორდა და სახლში დაბრუნდა ორ ბავშვთან ერთად, სხვაგან იმასაც არსად

აქვს წასასვლელი და ეს დღეები კი სძინავს ლენას დეიდამისთან ერთად გასაშლელ ტახტზე, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლებს ასეო. ეს დეიდაშვილიც თურმე უსირცხვილოდ გადი-გამოდის ოთახიდან ოთახში და წარამარა იმეორებს: ბავშვებს მეტი სივრცე სჭირდებათ, ბავშვებს სათამაშო ოთახი სჭირდებათ, ბავშვებს ეს და ბავშვებს ის. ეს კიდევ მთელი დღე სამსახურშია, საღამოს სახლში დასვენება უნდა, მეგობრის მოყვანა უნდა, მიდი რა შეჩემა, შენც ცოტას გაგამხიარულებს, დედაშენის ვალსაც დააბრუნებ და გაზაფხულზე, გათბობა რომ აღარ გექნება გადასახდელი, ახალ ტელეფონსაც იყიდო. მეთქი, კაი. ოღონდ კატა არ მოათრიოს სახლში. იეეეეესო, წამოხტა ლილი, ზურგიდან მომვარდა, წელზე ხელები მომხვია და კისერში მაკოცა, მერე მობილურს ეცა, მოიცა, ფეისბუქზე დავამატო, საერთო ჩათს გავაკეთებ და შეთანხმდით, როდის მოვიდეს, რა და როგორო. აუ, როგორ გაუხარდებაო. მეთქი, რო ვერ შევეგუო? ნუ ატრაკებო.